გაცნობებთ რომ ჩვენს მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე ჩვენს პარალელურად მიდიოდა მშენებლობა ამხანაგობა „ლუბლიანას“ მშენებარე კორპუსის, რომელთანაც ერთად გვქონდა შეთანხმებული მშენებარე კორპუსები და მშენებლობის ნებართვაც.

ამ ეტაპზე ამხანაგობა „ლუბლიანას“ მშენებლობა დასრულებულია და კორპუსი შესულია ექსპლოატაციაში, რის გამოც ამხანაგობა „ლუბლიანამ“ შეწყვიტა ფუნქციონირება და შეიქმნა მისი სამართალმემკვიდრე ბმა „ბელიაშვილის 12„ რომელშიც გაწევრიანდა ამხანაგობა „ლუბლიანას“ ყველა მესაკუთრე.

ჩვენს მოთხოვნას თან ერთვის ბმა „ბელიაშვილის 12„ ყოფ. ამხანაგობა „ლუბლიანას“ კრების ოქმი რომელზეც მიღებული იყო გადაწყვეტილება ბ.მ.ა. „ბელიაშვილის 12„ ყველა წევრის (ყველა ბინის მესაკუთრის) თანხმობით.

ბრძანება № 5595

თბილისის არქიტექტურა

11 . 11 . 2010

ამხანაგობა „ლუბლიანა“-ს თვმჯდომარე გელა დონაძის 22.10.2010 წ. №12/125004-13 განცხადებაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 06.05.2010 წ. №ლეგ-243 ბრძანებით ლეგალიზებულად ჩაითვალა ქ. თბილისში ლუბლიანას და ბელიაშვილის ქუჩებს შორის, (ნაკვეთი №4/84) პროექტის დარღვევით აშენებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.

2010 წლის 2 სექტემბერს სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს №12/108036-13 განცხადებით მომართა ამხანაგობა „ლუბლიანა“-ს თავმჯდომარე გელა დონაძემ და მოითხოვა ზემოაღნიშნულ ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გამო კორექტირებული გეგმების დამატება. სამსახურის 10.09.2010 წ. №4562 ბრძანებით დაკმაყოფილდა განმცხადებლის მოთხოვნა.

სამსახურს 22.10.2010 წ. №12/125004-13 განცხადებით განმეორებით მომართა ამხანაგობა „ლუბლიანა“-ს თავმჯდომარე გელა დონაძემ და მოითხოვა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 06.05.2010 წ. №ლეგ-243 და 10.09.2010 წ. №4562 ბრძანებების გაუქმება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებები, წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლის 1 ნაწილის თანახმად „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები“. ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია კანონმდებლობის სრული დაცვით. სამსახურმა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე სამართლებრივი, ფაქტობრივი გარემოებების და წარმოდგენილი დოკუმენტების გამოკვლევის შემდგ მიზანშეწონილად მიიჩნია მხოლოდ 10.09.2010 წ. №4562 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება და 06.05.2010 წ. №ლეგ-243 ბრძანებაში ცვლილების და დამატების შეტანა წრმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცის შესაბამისად. ვინაიდან 10.09.2010 წ. №4562 ბრძანების საფუძველზე სამსახურის 06.05.2010 წ. №ლეგ-243 ბრძანების დუკუმენტაციაზე დამატებული გეგმები არ შეესაბამება ქ. თბილისში ლუბლიანას და ბელიაშვილის ქუჩებს შორის, (ნაკვეთი №4/84) პროექტის დარღვევით აშენებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეალური მდგომარეობით არსებულ ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლებს რაც დასტურდება ამხანაგობა „ლუბლიანა“-ს თავმჯდომარე გელა დონაძის 22.10.2010 წ. №12/125004-13 განცხადებაზე დართული საპროექტო დოკუმენტაციით.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის 1 ნაწილის თანახმად „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
"თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი, [illegible] 7
ტელ.|+995 32| 72 22 22 ფაქს:|+995 32| 72 22 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
ვებ გვერდი - tbilisi.gov.ge/archi

გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.“ ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად „ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის ძალადაკარგულად გამოაცხადოს კანონის შესაბამისად გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ: არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება, აგრეთვე შესაბამისი სამეცნიეროტექნიკური აღმოჩენა ან გამოგონება, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული აქტის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს.“ სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილება, კერძოდ წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით ობიექტის ლეგალიზების ბრძანებაში შესაბამისი ცვლილების ასახვაზე დაკმაყოფილდეს მისი მოთხოვნა, ხოლო აქტების ბათილად ცნობაზე ეთქვას უარი.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის თანახმად „ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია: ა) დაინტერესებული პირის განცხადება; ბ) ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება – გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

სამსახურმა გადამოწმა ამხანაგობა „ლუბლიანა“-ს თავმჯდომარე გელა დონაძის 22.10.2010 წ. №12/125004-13 განცხადებაზე დართული საპროექტო დოკუმენტაცია, შეადარა მის ხელთ არსებულ საპროექტო დოკუმენტაციას და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად მიზანშეწონილად მიიჩნია 06.05.2010 წ. №ლეგ-243 ბრძანებაში ცვლილების და დამატების შეტანა. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად „ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს.“

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 64-ე მუხლის თანახმად „ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების შემდეგ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ორგანოს შეუძლია მოსთხოვოს პირს ამ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე გაცემული და რაიმე უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის დაბრუნება.“

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე, 63-ე, 64-ე, 76-ე, 96-ე და მე-100 მუხლების თანახმად,

ვბრძანებ:

1. ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს ამხანაგობა „ლუბლიანა“-ს თავმჯდომარე გელა დონაძის 2010 წლის 22 ოქტომბრის №12/125004–13 განცხადება;

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტექტურის სამსახური 10.09.2010 წ. №4562 ბრძანება;

3. დავალოს ამხანაგობა „ლუბლიანა“-ს თავმჯდომარე გელა დონაძეს წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან 20 (ოცი) დღის ვადაში სამსახურს წარმოუდგინოს 10.09.2010 წ. №4562 ბრძანებაზე თანდართული დოკუმენტაცია.

4. შეეიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 06.05.2010 წ. №ლეგ-243 ბრძანებაში, კერძოდ:

ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საერთო ფართი – 16385.848 კვ.მ

მათ–შორის:

სადარბაზოს ფართი – 1418.400 კვ.მ
ავტოსადგომის ფართი – 1555.048 კვ.მ
კომერციული ფართი – 1488.00 კვ.მ
ბინის ფართი – 11186.54 კვ.მ
საზაფხულო ფართი – 737.86 კვ.მ

5. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 06.05.2010 წ. №ლეგ-243 ბრძანებაში შეეიდეს ცვლილება და საპროექტო დოკუმენტაციას დაემატოს ამხანაგობა „ლუბლიანა“-ს თავმჯდომარე გელა დონაძის 22.10.2010 წ. №12/125004-13 განცხადებაზე დართული საპროექტო დოკუმენტაცია;

6. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 06.05.2010 წ. №ლეგ-243 ბრძანებასთან ერთად და 2010 წლის 22 ოქტომბრის №12/125004-13 განცხადებით წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციასთან ერთად;

7. აღნიშნული ეცნობოს განმცხადებელს, ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს;

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ადმინისტრაციული დეპარტამენტის
ლეგალიზების განყოფილების უფროსი ბათუნა წილოსანი